

ანოტაცია

ექტოციდოლი 600

კონცეტრატი, გარეგანი გამოყენების ემულსიის დასამზადებლად, გამოიყენება ექტოპარაზიტების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე შენობების და სადგომების დეზინსექციისთვის

დიაზინონი (Diazinon)

მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებლად

შემადგენლობა: 1მლ შეიცავს *აქტიურ ნივთიერება:* დიაზინონს 600მგ

აღწერა: ექტოციდოლი 600 წარმოადგენს გამჭვირვალე სითხეს, მოყვითალო ან ღია-ყავისფერი ფერით, გააჩნია დამახასიათებელი სპეციფიკური სუნი.

ფარმაკოლოგიური თვისებები

პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი აქტიური ნივთიერება დიაზინონი მიეკუთვნება ფოსფორორგანული ნაერთების ქიმიურ ჯგუფს.

ექტოციდოლი 600 არის ინსექტოკარიციდული საშუალება ნაწლავურ-კონტაქტური მოქმედებით. აქტიურია ტილების, რწყილების, ბეწვიჭამიებისა და ბუმბულიჭამიების, კანის ტკიპების, ბუზების, სარკოპტოიდული, იქსოდური და ქათმის ტკიპების, საწოლის ბაღლინჯოების, ტარაკნების, ბუზების, კოდოების, ობობებისა და სხვა ექტოპარაზიტების მიმართ.

მოქმედების მექანიზმი ეფუძნება ქოლინესტერაზის აქტივობის ინჰიბირებას და ქოლინერგული პროცესების სტიმულაციას, რაც იწვევს პარაზიტის პარალიზებასა და სიკვდილს.

ორგანიზმზე ზემოქმედების ხარისხით მიეკუთვნება ზომიერად საშიშ ნივთიერებებს (III კლასი). რეკომენდებულ დოზებში არ ავლენს ადგილობრივად გამდიზიანებელ, კანის რეზორბციულ ან მასენსიბილიზებელ მოქმედებას. ტოქსიკურია თევზებისა და ფუტკრებისთვის.

ჩვენებები

გამოიყენება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხის ფსოროფტოზის საწინააღმდეგოდ, ღორების – სარკოფტოზის, ცხოველების გარეგანი ენტომოზების, ასევე გარეგანი მკბენარების - ტკიპების, ბუზების და სხვა ექტოპარაზიტების გასანადგურებლად, ცხოველებისა და ფრინველების სადგომებში დეზინსექციისა და დეზაკარიზაციისათვის.

გვერდითი მოვლენები

ინსტრუქციის შესაბამისი მოხმარების შემთხვევაში გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება.

გარემოში მაღალ ტემპერატურაზე, მზეზე მყოფ ცხოველებს შესაძლოა გამოუვლინდეთ მოწამვლა პრეპარატის კანის საფარიდან სწრაფი შეწოვის გამო.

უკუჩვენება

არ გამოიყენოთ დაავადებულ, დაუძღვრებულ და პრეპარატის მიმართ მაღალმგრძობიარე ცხოველებისადმი.

სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (ცხვარი, თხა); ღორი; ცხოველებისა და ფრინველების სადგომი

გამოყენების წესი, დოზირება

ექტოციდოლ 600 გამოიყენება წყლიანი ემულსიის სახით.

სამუშაო ხსნარი უნდა მოვამზადოთ უშუალოდ დამუშავების წინ.

სამუშაო ხსნარის მომზადება:

| შესხურება | განზავება ექტოციდოლი 600-ის და თბილი წყლის |
|-------------------------------------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ღორი | 10 მლ – 24 ლ 10 მლ – 24 ლ |
| გასაბანი ავზები | |
| წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი: ცხვარი, თხა: საწყისი აბაზანა აბაზანის კონცენტრაციის განახლება | 10 მლ - 24 ლ 10 მლ – 8 ლ |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი | |
| საწყისი აბაზანა აბაზანის კონცენტრაციის განახლება | 10 მლ – 24 ლ 10 მლ – 8 ლ |
| ცხოველთა სადგომების დამუშავება | |
| იატაკისა და კედლების დამუშავებისათვის: 5ლ სამუშაო ხსნარი 100 მ ² ფართობზე | 20 მლ – 1 ლ (რწყილის, ტკიპას, ტარაკანას, ჭიანჭველას საწინააღმდეგ.) 10 მლ -10 ლ (მწერის, მუნის, ქეცის ტკიპას საწინააღმდეგოდ) |
| ინდივიდუალური დამუშავება (შესხურება): | |

| | |
|--------------------------------------------------------------|----------------------------------------------|
| - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი | 1 მლ – 1-2.4 ლ წყალში 1 მლ – 2.4 ლ წყალში |
| - ღორი | |

ცხვარი, თხა - ფსოროფტოზის საწინააღმდეგოდ:

ცხოველები უნდა გაიბანონ აბაზანაში პროფილაქტიკის მიზნით ერთჯერადად, ექსპოზიცია 50-60 წამი. ცხვარი გაიბანება გაპარსვიდან 15 დღის შემდეგ. გასაბანი აბაზანები გამოიყენება ხსნარის მომზადების დღესვე. დამუშავების სიხშირე დამოკიდებულია პარაზიტის სახეობაზე, კლიმატურ პირობებზე და ინფექციური პროცესის ხარისხზე. გამეორება შესაძლებელია 10-15 დღის შემდეგ.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფსოროფტოზის და ენტომოზების (ტკიპების, მქავანების, რწყილების საწინააღმდეგოდ) დროს:

ცხოველებს ასხურებენ წყლიან ემულსიას. საჭიროების შემთხვევაში, გამეორება შესაძლებელია 10-14 დღის ინტერვალით

ღორებს სარკოფტოზის საწინააღმდეგოდ:

ასხურებენ წყლიან ემულსიას. პროფილაქტიკა ერთჯერადად, სამკურნალოდ ცხოველების დამუშავება წარმოებს ორჯერადად 10-14 დღის ინტერვალით.

სამიზნე ცხოველების დამუშავება ხდება მხოლოდ გრილი ან მოღრუბლული ამინდის პირობებში (ტემპერატურა არაუმეტეს 28 °C).

პროფილაქტიკის მიზნით გაბანვა ტარდება გაზაფხულსა და შემოდგომაზე ერთჯერადად.

გამოყენებული სითხე ჩაასხით სალექარში.

ძირითადი მითითებები

მაკეობა, ლაქტაცია

პრეპარატის გამოყენება არ შეიძლება მაკე (მაკეობის ბოლო ტრიმესტრი) და ლაქტაციის პერიოდში მყოფი ცხოველებისთვის.

ჭარბი დოზირება

ინტოქსიკაციური სიმპტომები ისეთივეა, როგორც ორგანოფოსფორატების დროს (შეიძლება გამოვლინდეს ნერწყვდენა, ტრემორი, აგზნება). ინტოქსიკაციისას ცხოველი უნდა გაიბანოს დიდი ოდენობის წყლის ჭავლის ქვეშ. პრეპარატის ჩაყლაპვისას აუცილებლად უნდა გამოიწვიოთ ღებინება და მიეცეს შხამსაწინააღმდეგო საშუალება ატროპინი (1% ხსნარი, 5 მლ / 100 კგ ცოცხალ მასაზე).

ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან

ექტოციდოლი 600 სხვა პრეპარატებთან შერევა დაუშვებელია.

დაყოვნების პერიოდი

ცხოველების ხორცი საკვებად გამოიყენება პრეპარატის ბოლო გამოყენებიდან 15 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე ცხოველის იძულებით დაკვლის შემთხვევაში ხორცი შეიძლება გამოყენებული იქნას ხორცისმჭამელი ცხოველების საკვებად ან ძვლისა და ხორცის ფქვილის წარმოებაში.

რძის საკვებად მიღება აკრძალულია პრეპარატის ბოლო მიღებიდან 3 დღის განმავლობაში, ასეთი რძე შეიძლება გამოიყენებული იქნას ცხოველთა საკვებად.

სიფრთხილის ზომები

მუშაობის დროს უნდა დაიცვათ პირადი ჰიგიენისა და უსაფრთხოების ზოგადი წესები, რაც პრეპარატებთან მუშაობისას კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. პრეპარატთან მუშაობა აწარმოებენ სპეციალური ტანსაცმლით (ხალათი, წინსაფარი, ქუდი, ხელთათმანები, დამცავი სათვალეები და რესპირატორი). მუშაობის დროს არ შეიძლება მოწევა, ჭამა და სმა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ აუცილებელია პირის გამოვლება, ხელების და სახის საპნით დაბანა. კანზე მოხვედრისას უნდა დაიბანოთ საპნით და დიდი ოდენობის გამდინარე წყლით. გართულების შემთხვევისას მიმართეთ ექიმს.

იკრძალება პრეპარატის ტარის გამოყენება საკვები პროდუქტებისათვის;

პრეპარატი ცეცხლსაშიშია;

დაუშვებელია პრეპარატის გაცხელება 50°C ტემპერატურაზე და მეტად.

შენახვის პირობები

ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25 °C ტემპერატურაზე.

ვარგისობის ვადა: 3 წელი

განადგურება, უტილიზაცია

გამოყენებული ან ვადაგასული პრეპარატი, აგრეთვე სამუშაო ემულსიის ნარჩენები განეიტრალებება 5%-იანი ტუტის ხსნარით ან ჩამქრალი/ქლორული კირის წყლის სუსპენზიით (1:3) და უტილიზირდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, სასმელი წყლის წყაროებისა და წყალსაცავებისგან მოშორებით.

გამომშვების ფორმა: 5ლ და 1ლ პოლიეთილენის ბოთლში, 100მლ პოლიეთილენის ფლაკონში და 4მლ მინის ამპულაში.

ფარმაკოლოგიური ჯგუფი: ექტოპარაზიტიციდები გარეგანი გამოყენებისათვის, მ.შ. ინსექტიციდები, Atc vet.code:QP53AF03/Diazinon

მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისათვის.
შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

მწარმოებელი: შპს „ბიოტექსი“, თბილისი, იუმანშევის ქ. №8